

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს კონკურსს

„ექსპერიმენტული პროექტების ხელშეწყობა“

1. კონკურსის მიზანი

ექსპერიმენტული პროექტების ხელშეწყობით თანამედროვე ქართულ თეატრალურ/პერფორმატიულ, კინო, მუსიკალურ და ვიზუალურ ხელოვნებაში შემოქმედებითი ძიებების გააქტიურება და სტიმულირება, ინოვაციური იდეების, ფორმების, გამომსახველობითი ხერხების და საშუალებების, ხელოვანთა ახალი სახელების წარმოჩენა. კონკურსს ხელი შეეწყობა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს „ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ღონისძიებიდან „ხელოვნების განვითარების სხვა ღონისძიებები“.

2. კონკურსის პირობები

2.1 კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ხელოვნების სფეროში მოღვაწე იურიდიულ პირებს, ინდივიდუალურ მენარმეებს და გადამხდელად დარეგისტრირებულ ფიზიკურ პირებს.

2.2 კონკურსანტს შეუძლია ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებიდან ერთ-ერთის შესაბამისი, ერთი პროექტის წარმოდგენა, მათ შორის სინთეზური პროექტის, რომელიც კომპლექსურად მოიცავს ხელოვნების ყველა, ან რამდენიმე მიმართულებას.

2.3 საკონკურსო პროექტი უნდა იყოს ინოვაციური და ექსპერიმენტული, უნდა მოიცავდეს თანამედროვე გამომსახველობით საშუალებებსა და/ან ტექნოლოგიებს, თანამედროვე მხატვრულ სამეტყველო ენას; უნდა იყოს აქტუალური, ეხმიანებოდეს და ესადაგებოდეს უახლეს სახელოვნებო ტენდენციებს და თანამედროვე ფორმებს, ან ქმნიდეს ახალს. პროექტის თემა, ფორმა, ჟანრი, შესრულების ტექნიკა თავისუფალია.

2.4 ცალკეული პროექტის ხელშესაწყობად სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 20 000 (ოცი ათასი) ლარს.

2.5 სამინისტროდან მოთხოვნილი თანხიდან არ ანაზღაურდება ძირითადი საშუალებების შესაძენი ხარჯები.

2.6 ჰონორარებისა და შრომის ანაზღაურების ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს სამინისტროდან მოთხოვნილი თანხის 30%-ს.

2.7 პრიორიტეტი მიენიჭება თანადაფინანსების მქონე პროექტებს.

2.8 გამარჯვებული პროექტების დაფინანსებისათვის აუცილებელ პროცედურებს სამინისტრო განახორციელებს გამარჯვებული პროექტების გამოვლენიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში, სამინისტროს მხრიდან მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

2.9 კონკურსში გამარჯვებულ პროექტებს გამოავლენს და რეკომენდაციებს შეიმუშავებს საკონკურსო კომისია.

2.10 პროექტის განხორციელების ვადა არ უნდა სცდებოდეს 2018 წლის 30 ნოემბერს.

3. საკონკურსო პროექტების წარმოდგენის პირობები

3.1 პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ კონკურსისათვის შემუშავებული განაცხადის ფორმის შესაბამისად (იხილეთ თანდართული ფაილი), უნდა ერთვოდეს წერილი მინისტრის სახელზე კონკურსის დასახელების მითითებით, საკითხის მოკლე აღწერით. პროექტი და თანდართული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ვერსიის სახითაც.

3.2 უპირატესობა მიენიჭება ისეთ პროექტებს, რომლებშიც გათვალისწინებულია პროექტში ასახულ ღონისძიებაზე შშმ პირთა ხელმისაწვდომობის საშუალებები.

3.3 საქართველოს გეოგრაფიული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ ორგანიზაციის მიერ კონკურსზე წარმოდგენილი პროექტებიდან უპირატესობა მიენიჭება ისეთ პროექტებს, რომლებიც ასახული იქნება შესაბამისი გეოგრაფიული რეგიონის მიერ დამტკიცებულ კულტურის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში, სადაც, ასევე, მითითებული იქნება თანადაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის, ან სხვა დონორი ორგანიზაციის მხრიდან. აღნიშნული სამოქმედო გეგმა თან უნდა ერთვოდეს საპროექტო განაცხადს;

3.4 თეატრალური/პერფორმატიული ხელოვნების მიმართულებით წარმოდგენილ პროექტს უნდა ერთვოდეს სპექტაკლის/სანახაობის კონცეფცია გამართვის ადგილის მითითებით, მასში მოკლედ უნდა იყოს ფორმულირებული პროექტის ინოვაციურობისა და კრეატიულობის არსი, ავტორის მოტივაცია და ხედვა პროექტის მიზნისა და მისი გადანყვეტის შესახებ, ასევე ვიზუალური მასალა, ინფორმაცია შემოქმედებითი ჯგუფის შესახებ.

3.5 კინოხელოვნების მიმართულებით წარმოდგენილ პროექტს უნდა ერთვოდეს მოკლემეტრაჟიანი ფილმის სინოფისისი - 1 გვერდი, ლიტერატურული სცენარი, სასურველია ფილმის საპილოტე ვერსია (40 წმ-დან 1 წთ-მდე), კადრირება, ფოტო და სხვა ვიზუალური მასალა (მსახიობები, ტიპაჟები, ლოკაცია და სხვა). პროექტის აღწერა უნდა მოიცავდეს რეჟისორის მოტივაციას პროექტის თემის, იდეის, ჟანრის შესახებ ქრონომეტრაჟის მითითებით (მხატვრული ფილმის შემთხვევაში არა ნაკლებ 6 წუთი, დოკუმენტური ფილმის შემთხვევაში-არა ნაკლებ 10 წუთი, ანიმაციური ფილმის

შემთხვევაში - არა ნაკლებ 3 წუთი) და ფილმის სანარმოო/სამუშაო გეგმას, ასევე ინფორმაციას ფილმის შემოქმედებითი და ტექნიკური ჯგუფის შესახებ.

3.6 მუსიკალური ხელოვნების მიმართულებით წარმოდგენილ პროექტს - (მულტიმედია, აკუსტიკური პერფორმანსი, ნაწარმოები ვერბალური, ქორეოგრაფიული და/ან სხვა სახელოვნებო დარგის მუსიკალურად გადააზრების ინოვაციური ვარიანტით, აუდიო-ვიზუალური კომპოზიცია, ელექტრო-აკუსტიკური კომპოზიცია ინოვაციური კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით, საკრავების თეატრი, სამეცნიერო სიახლეების მუსიკალური ინტერპრეტაცია, მუსიკალური თერაპიის ნიმუში, ნაწარმოები ინოვაციური აკუსტიკური ან ელექტრონულ-სენსორული ინსტრუმენტებით და/ან სამემსრულებლო ხერხებით, კომპოზიცია ვირტუალური მუსიკალური ნაწილით მიღწეული შუქითა და/ან პლასტიკით, ან სხვა მეთოდით, ახალ ექსპერიმენტულ მუსიკალურ სისტემასა და საკომპოზიციო ტექნიკაში შექმნილი ნაწარმოები და სხვა, ქრონომეტრაჟი მაქსიმუმ 20 წუთი) უნდა ერთვოდეს მუსიკალური კომპოზიციის კონცეფციის დეტალური აღწერა ნაწარმოების ექსპეტიმენტულობის და/ან ინოვაციურობის არსის დასაბუთებით; სინოფსისი (კომპოზიციური ნახაზი-პარტიტურა, მუსიკალურ დროსა და სივრცეში მოვლენათა მსვლელობის აღწერა). ნაწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს სანოტო, ვერბალური, გრაფიკული, აუდიო, ვიზუალური, ან სხვა სახის მასალა. ყველა მასალა, როგორც ბეჭდური ნაწილი, ისე აუდიო-ვიდეო ჩანაწერი, ან სხვა (მაგალითად მუსიკალური ინსტრუმენტის მაკეტი 3D ინსტალაციით), წარმოდგენილი უნდა იყოს 2 ეგზემპლარად;

სავალდებულოა:

- ნაწარმოებში ნოტირებული პარტიტურის არსებობის შემთხვევაში (აკრეფილი Finalec-ს ან Sibelius-ის პროგრამაში) ელექტრონული ვერსიის დისკზე Data ფაილების წარმოდგენა PDF-ის და Finalec-ს, ან Sibelius-ის ფაილის სახით აუდიო ჩანაწერით WAV ან MP3 ფორმატში.
- ნაწარმოებში ელექტრო-აკუსტიკური ან აუდიო-ვიზუალური ნაწილის არსებობის შემთხვევაში Data ფაილების წარმოდგენა დისკზე აუდიო - WAV ან MP3 ფორმატში, ხოლო ვიდეო - MP4 ფორმატში.

3.7 ვიზუალური ხელოვნების მიმართულებით სხვადასხვა მხატვრული ფორმით (სივრცული ინსტალაცია, თანამედროვე ფერწერა/ნახატი, ფოტოგრაფია, ვიდეოპერფორმანსი, ობიექტი, მულტიმედია...) შესაქმნელი ნამუშევრის პროექტს უნდა ერთვოდეს პროექტის აღწერა, კონცეფცია, პროლუქტის უნიკალურობის დასაბუთება, შესაქმნელი ნამუშევრის ტექნიკური მახასიათებლები (აუცილებელი ტექნიკის ჩამონათვალი); პროექტის კონცეფციის შესაბამისი ვიზუალური ესკიზი ნებისმიერ

მედიაში; განმცხადებელი ორგანიზაციის, აგრეთვე პროექტში მონაწილე პარტნიორ ორგანიზაციათა, კურატორთა, მხატვართა CV (რეალიზებული პროექტების, საავტორო ნამუშევრების, გამოფენების ჩამონათვალი ინტერნეტსივრცეში განთავსებული ლინკების მითითებით). საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი მასალის წარმოდგენა - მაგალითად სივრცის ორგანიზების ელექტრონული ვერსიისა 3D ან სხვა სახის ელექტრონული ფორმატით.

3.8 სინთეზურ ექსპერიმენტულ პროექტს უნდა ერთვოდეს კონცეფცია სინთეზის ინოვაციურობის დასაბუთებით, ინფორმაცია პროექტის ავტორის/თანაავტორებისა და შემოქმედებითი ჯგუფის წევრების შესახებ; შესაბამისი ვიზუალური/აუდიო მასალა.

3.9 საკონკურსოდ წარმოდგენილ პროექტს უნდა ერთვოდეს: თანადაფინანსების შემთხვევაში თანადაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტი, წერილი იმ ორგანიზაციიდან, სადაც დაგეგმილია პროექტის განხორციელების შედეგად შექმნილი პროდუქტის რეალიზება.

4. კონკურსის სტრუქტურა

4.1 კონკურსი ტარდება ორ ტურად.

4.2 პირველ ტურში საკონკურსო კომისია შეარჩევს არაუმეტეს ათ საუკეთესო პროექტს.

4.3 მეორე ტურში პროექტების ავტორები თავად მოახდენენ პროექტების პრეზენტაციას საკონკურსო კომისიის წინაშე. საკონკურსო კომისია, წინამდებარე დებულების საფუძველზე, რეკომენდაციებს გასცემს საუკეთესო პროექტების ხელშეწყობის შესახებ. კომისიის მიერ რეკომენდირებული პროექტების დაფინანსებისთვის საჭირო ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს 90 000 ლარს.

5. კონკურსის განრიგი

5.1 საკონკურსო პროექტების მიღება იწყება 2018 წლის 6 ივნისიდან;

5.2 პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2018 წლის 29 ივნისის 16:30 სთ;

5.3 კონკურსის შედეგები გასაჯაროვდება 2018 წლის 13 ივლისამდე სამინისტროს ვებ-გვერდზე mcs.gov.ge.

5.4 კონკურსში გამარჯვებული პროექტი უნდა განხორციელდეს 2018 წლის 30 ნოემბრამდე

5.5 კონკურსზე შემოტანილი მასალა უკან არ ბრუნდება;

5.6 პროექტი და ყველა თანდართული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

კონსულტაციები გაიმართება ყოველ ოთხშაბათს, 14:00 საათიდან 17:30 საათამდე, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში.